ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 41

15 ივლისი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა. კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლები მიხეილ ხურციძე და ნიკოლოზ წერეთელი.

ასევე დაინტერესებილი მოქალაქეები:

ომარ ჩხაიძე

თეიმურაზ მეშვილდიშვილი

რუსუდან ბერიძე

ეკატერინე გიგოლაშვილი

დავით წოწორია

დარეჯან გუგეშაშვილი

ბელა ზალდასტანიშვილი

გიორგი გელოვანი

მამუკა ჩოქური

ბექა რამიშვილი

ელენე დადიანი

ხვიჩა ჩალაბაშვილი

მირზა იარაჯული

ნია ოძელაშვილი

ზურაბ ჯავახიშვილი

ლია ბაგრატიონი

სალომე კაპანაძე

მარინა გზირიშვილი

თინათინ ნიბლოშვილმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგის სერგი გორგაძის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის საზოგადო მოღვაწის მერაბ ელიოზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის ძველი ვეძისის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის ქუჩის III შესახვევის გაგრძელების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის იოსებ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა მშველიძის I ჩიხისთვის ქისის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ყაზახი განმანათლებლის, პოეტის აბაის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მიხეილ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თბილისის ზოოლოგიური პარკის მიმდებარედ არსებული ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის ხილიანის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ბოდავის I ქუჩის მონაკვეთისთვის მხატვრის, იოსებ (სოსო) გაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მამია გურიელის ქუჩის სახელდების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საომარ მოქმედებებში დაღუპული მებრძოლის ვახტანგ გზირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქიმიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი.

1. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგის სერგი გორგაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნინო გაგელიძის განცხადება, რომლითაც ავჭალა-1-ის დასახლებაში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. ასევე კომისიაში შემოსულია მოქალაქე რუსუდან ბერიძის განცხადება, რომლითაც ითხოვს მუხიანის სამხედრო დასახლებაში, ავჭალა-1-ში უსახელო ქუჩის სახელდებას. კომისიაში აგრეთვე შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე მაკა ოტიაშვილი მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. 2019 წლის 22 მაისს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ლევან მერაბიშვილი კონკრეტული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. 2019 წლის 14 იანვარს კომისიაში შემოსულია სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაალ აბაშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ისტორიკოსის, ფილოლოგის და საზოგადო მოღვაწის სერგი გორგაძის სახელის მინიჭებას.

კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხები. ადგილზე მოხდა ტერიტორიის შესწავლა. როგორც გაირკვა, გზის მონაკვეთი მოქცეულია შპს „მუხიანი 2002-ის" საკუთრებაში არსებულ წითელ ხაზებში. კომისიის შუამდგომლობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის რაიონის გამგეობასა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შორის მოხდა შეთანხმება მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების ფართის უცვლელად კორექტირების თაობაზე, რამაც კომისიას მისცა შესაძლებლობა განეხორციელებინა ზემოხსენებული უსახელო ტერიტორიის სახელდება.

კომისიამ შეისწავლა ისტორიკოსის, ფილოლოგის სერგი გორგაძის ბიოგრაფია და მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიიჩნია უსახელო ქუჩისთვის, რომელიც მდებარეობს რეზო გაბაშვილის ქუჩასთან და მასთან გავითარებული შესახვევისთვის სერგი გორგაძის სახელის მინიჭება.

საკითხის განხილვისას კომისიას გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადა განმცხადებელმა რუსუდან ბერიძემ.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, რეზო გაბაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ისტორიკოსის, ფილოლოგის სერგი გორგაძის სახელი

2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის საზოგადო მოღვაწის მერაბ ელიოზიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ეკატერინე გიგოლაშვილის წერილი, რომლითაც მოქალაქეთა ჯგუფი ითხოვს ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მერაბ ელიოზიშვილის სახელი.

კომისიამ შეისწავლა საკითხი, შეისწავლა ასევე მერაბ ელიოზიშვილის ბიოგრაფია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იგი გახლდათ ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი, მინიჭებული აქვს საპატიო თბილისელის და „ქართული კულტურის ამაგდარი"-ს წოდებები. მისი ავტორობით გამოცემულია არაერთი წიგნი.

კომისიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მერაბ ელიოზიშვილი ცხოვრობდა ხსენებული სკვერის მიმდებარედ და მიზანშეწონილად ჩათვალა მოქალაქეთა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

დაინტერესებულმა მხარემ, ეკატერინე გიგოლაშვილმა კომისიის წევრებს განუცხადა, რომ მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანია აღნიშნულ სკვერს მინიჭებოდა მერაბ ელიოზიშვილის სახელი, ვინაიდან მწერალი ცხოვრობდა მიმდებარედ. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მოქალაქეთა მოთხოვნის გათვალისწინებისთვის.

კომისიის წევრებმა დღის წერიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის მერაბ ელიოზიშვილის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით 2019 წელს კომისიაში შემოსულია საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლო "-ს თავმჯდომარის დარეჯან გუგეშაშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს ნაძალადევის რაიონში რომელიმე ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების, ძმები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელი. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. დარეჯან გუგეშაშვილთან კომუნიკაციის და ერთობლივი შეთანხმების შემდეგ ნაძალადევის რაიონში, ტერიტორიაზე სადაც წიკლაურები ცხოვრობდნენ შეარჩია სკვერი, რომელსაც მიენიჭება ძმები წიკლაურების სახელი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა მიხეილ ხურციძემ კომისიას მადლობა გადაუხადა აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. ასევე მადლობა გადაუხადა კომისიას საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლოს" თავმჯდომარემ დარეჯან გუგეშაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა კომისიის თითოეულ წევრს გაწეული სამუშაოსთვის, ასევე აღნიშნა რომ ძმებს გამორჩეული ღვაწლი მიუძღვით აფხაზეთის კონფლიქტში გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის, ძმებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს გარკვეული დავალებების შესრულებაში, ქალბატონმა დარეჯან გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ მომავალი თაობებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ძმები წიკლაურების სახელების უკვდავყოფა.

კომისიამ მესამე საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაბალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელი.

4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულის მაჟორიტარი წევრის ქეთევან ჯოხაძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე ბექა რამიშვილს. განმცხადებელი ხელოვანთა სფეროს წარმომადგენლების სახელით ითხოვს გლდანის რაიონში, მუხიანში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ახალგაზრდა პოეტის ნინო ნეკერიშვილის სახელი. ანალოგიური შინაარსით კომისიაში შემოსულია ა(ა)იპ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის თემურ ჩალაბაშვილის წერილი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ნინო ნეკერიშვილის ბიოგრაფია. ნინო ნეკერიშვილის ლექსები შესულია რამდენიმე პოეტურ კრებულში. არის ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებული. მისი ცნობილი თარგმანებია ჯონ ბოინის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში", კასანდრა კლერის „მექანიკური პრინცესა" და „ზეციური ცეცხლის ქალაქი".

ნინო ნეკერიშვილი ცხოვრობდა ზემოაღნიშნული სკვერის მიმდებარედ.

სხდომას ესწრებული დაინტერესებული პირი ბექა რამიშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას საკითხის შესწავლისთვის და დადებითად გადაწყვეტისთვის.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ნოდარ დუმბაძის გამზირთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს პოეტის, ნინო ნეკერიშვილის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, ძველი ვეძისის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის ძველი ვეძისის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით 2020 წლის 13 იანვარს კომისიაში შემოსულია ამხანაგობა „ძველი ვეძისი"-ს თავმჯდომარის თამარ ღლონტის განცხადება, რომლითაც ითხოვს ძველი ვეძისის დასახლებაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. როგორც აღმოჩნდა, უსახელო ტერიტორია მდებარეობს ძველი ვეძისის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია ქუჩის გაგრძელება. ქუჩასთან ასევე განვითარებულია ორი უსახელო გასასვლელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში, გაგრძლდეს ძველი ვეძისის ქუჩა და მასთან არსებულ ორ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ძველი ვეძისის სახელი.

6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, კვესეთში, ბეთანიის მონასტრის ქუჩის III შესახვევის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: 2020 წლის 31 იანვარს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ინგა გიორგობიანის განცხადება, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს სოფელ კვესეთში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ბეთანიის მონასტრის ქუჩის III შესახვევთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, კვესეთში, გაგრძელდეს ბეთანიის მონასტრის ქუჩის III შესახვევი.

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო ჩიხისთვის იოსებ კეჭაყმაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 2019 წლის დეკემბერში კომისიაში შემოსულია მოქალაქე რევაზ მაისურაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თხინვალაში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო ჩიხს. ქუჩასთან განვითარებულია კიდევ ერთი ჩიხი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს იოსებ კეჭაყმაძის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, შალვა მშველიძის I ჩიხისთვის ქისის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით 2019 წლის ოქტომბერში კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს შალვა მშველიძის I ჩიხში მცხოვრებ მოქალაქეებს. განმცხადებლები ითხოვენ ქუჩისთვის სახელის შეცვლას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. როგორც აღმოჩნდა, შალვა მშველიძის ქუჩის მიმდებარედ, I ჩიხის სახელით გვაქვს ორი გეოგრაფიული ობიექტი. შალვა მშველიძის I ჩიხი განვითარებულია და შესაძლებელია მისი ჩამოყალიბება დამოუკიდებელ ქუჩად. მოსახლეობასთან კომუნიკაციის შემდეგ გამოიკვეთა, რომ მათი სურვილია ქუჩას მიენიჭოს ვაზის ერთ-ერთი ჯიშის ქისის სახელი.

გამომდინარე იქიდან, რომ კომისია აქტიურად ახორციელებს დედაქალაქის ქუჩებისთვის ვაზის ჯიშების სახელების მინიჭებას, გათვალისწინებულ იქნა მოსახლეობის მოთხოვნა და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს აღნიშნული ქუჩის მაცხოვრებლებმა მირზა იარაჯულმა და ხვიჩა ჩალაბაშვილმა. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიის წევრებს მოსახლეობის აზრის გათვალისწინებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, შალვა მშველიძის I ჩიხს მიენიჭოს ქისის ქუჩის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ყაზახი განმანათლებლის, პოეტის აბაის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმციით 2019 წლის ოქტომბერში კომისიაში შემოსულია საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის დავით კერესელიძის წერილი, რომელიც გვიგზავნის საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბაურჟან მუხამედჯანოვის წერილს, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გამოჩენილი ყაზახი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აბაი კუნანბაევის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. სახელდების ნაცვალგების პრინციპების დაცვით (როგორც ცნობილია, ყაზახეთის რესპუბლიკაში არსებობს შოთა რუსთაველის, თბილისის, „გრუზინსკაიას“ და აფხაზეთის ქუჩები) განსახილველად კომისიამ მიმართა როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ყაზახეთის რესპუბლიკაში ზურაბ აბაშიძეს. ასევე 2019 წლის 11 დეკემბერს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მ/შ მაია თუშურაშვილის წერილი, რომელიც გვიგზავნის ზურაბ აბაშიძის წერილს და გვიდასტურებს ყაზახეთის რესპუბლიკაში ზემოხსენებული ქუჩების არსებობას. იგი დადებით რეკომენდაციას უწევს თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აბაი კუნანბაევის სახელი, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. სახელდებისთვის შეირჩა ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ყაზახი განმანათლებლის, პოეტის აბაის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მიხეილ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარეს ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ნია ოძელაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს წყნეთში მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მიხეილ ოძელაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან კომისიამ გამოითხოვა მიხეილ ოძელაშვილის საბრძოლო მოკვლევა. საიდანაც ირკვევა, რომ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიხეილ ოძელაშვილი ცხოვრობდა ზემოაღნიშნული სკვერის მიმდებარე ტერიტორიასთან.

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები ნია ოძელაშვილი და ზურაბ ჯავახიშვილი, მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას და ვეტერანების სამსახურს საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე

საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მიხეილ ოძელაშვილის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თბილისის ზოოლოგიური პარკის მიმდებარედ არსებული ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის ხილიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით 2019 წლის 20 მარტს კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ვახტანგ შაქარიშვილის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს სიმონ ჩიქოვანის ქუჩის მაცხოვრებლებს. მოქალაქეები ითხოვენ ქუჩისთვის ძველი სახელის-ხილიანის დაბრუნებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. როგორც ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია სახელდების პროცესში მაქსიმალურად ცდილობს გამოავლინოს, შეინარჩუნოს და აღადგინოს ისტორიული ტოპონიმები.

მოქალაქეებთან კომუნიკაციის, შეთანხმების და მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უბანს მიენიჭოს ადგილისთვის დამახასიათებელი ტოპონიმის ხილიანის სახელი (ასე ერქვა უბანს ზოოლოგიური პარკის ზემოთ, დღევანდელი სიმონ ჩიქოვანის ქუჩის მიდამოებში).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მეთერთმეტე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული

მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, თბილისის ზოოლოგიური პარკის მიმდებარედ არსებულ ისტორიულად ჩამოყალიბებულ უბანს მიენიჭოს ხილიანის სახელი.

12. ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზოდავის I ქუჩის მონაკვეთისთვის მხატვრის, იოსებ (სოსო) გაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ აცნობა კომისიის წევრებს, რომ კომისიაში შემოსულია თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორის გიორგი გუგუშვილის წერილი, რომლითაც მოგვმართავს თხოვნით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ქართველი მხატვრის იოსებ (სოსო) გაბაშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა იოსებ (სოსო) გაბაშვილის ბიოგრაფია. იოსებ (სოსო) გაბაშვილი იყო წარმომადგენელი მოდერნისტული მხატვრობისა, იყო ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი. ნიკოლოზ შენგელაიას ფილმების მხატვარი და 1940-იანი წლებიდან მოზარდ მაყურებელთა თეატრის მხატვარიც გახლდათ.

სახელდებისთვის კომისიამ შეარჩია ზოდავის I ქუჩა. საქმისწარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ ზოდავის I ქუჩა მოიცავს რამდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელ მონაკვეთს, ამიტომ ზოდავის I ქუჩა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შეიძლება ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას ესწრებოდა დაინტერესებული პირი ლია ბაგრატიონი, მან მადლობა გადაუხადა კომისიას დამსახურებული მხატვრის შემოქმედების დაფასებისათვის. ასევე აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა მარიკა დარჩიამ, მან ისაუბრა მხატვარ იოსებ (სოსო) გაბაშვილის შემოქმედებაზე და დადებითი რეკომენდაცია გაუწია საკითხის გადაწყვეტას.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს : ჩუღურეთის რაიონში, ბოდავის I ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მხატვრის, იოსებ (სოსო) გაბაშვილის სახელი.

13. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მამია გურიელის ქუჩის სახელდების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი"-ს მინდობილი პირის სალომე კაპანაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს მამია გურიელის ქუჩის გავრცელების არეალის კონფიგურაციის ცვლილებას. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. საქმისწარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ ქუჩაზე შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი" საკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ქონებას, რომლის ნაწილიც დატვირთული იყო სერვიტუტის უფლებით. შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი"-ს სურვილი იყო სერვიტუტით დატვირთული მიწის მონაკვეთის საკუთარი სამეურნეო/სამეწარმეო მიზნით გამოყენება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შეიცვალა რეგისტრირებული სერვიტუტის უფლებით დატვირთილი მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია და გაუქმდა სერვიტუტი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა ასევე, რომ განაშენიანების პროცესმა შეცვალა ქუჩის გეგმარებაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გასწორდეს ხარვეზი მამია გურიელის ქუჩის სახელდების შესახებ.

სხდომას ესწრებოდა შპს „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტი"-ის წარმომადგენელი სალომე კაპანაძე. მისი განცხადებით გაფორმებულმა სერვიტუტმა კვლავ განიცადა ცვლილება. კომისიის სამდივნოს უფროსის მამუკა ბალიაშვილის განცხადებით, ვინაიდან გამოიკვეთა ახალი გარემოება, მიზანშეწონილია საკითხის იმ დათქმით მიღება თუ არ მოხდება

ცვლილებები ძირითადი ქუჩის გავრცელების არეალში. კომისიამ გაითვალისწინა წარმოდგენილი შენიშვნა და საკითხს მხარი დაუჭირა ხსენებული დათქმის გათვალისწინებით.

სალომე კაპანაძემ კომისიას მადლობა გადაუხადა საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მამია გურიელის ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს მამია გურიელის სახელი.

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საომარ მოქმედებებში დაღუპული მებრძოლის ვახტანგ გზირიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქიმიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით კომისიის ინიციატივაა, სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საომარ მოქმედებებში დაღუპული მებრძოლის ვახტანგ გზირიშვილის სახელი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე, ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენოსანი, კაპრალი ვახტანგ გზირიშვილი მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში მსახურობდა. გარდაიცვალა 2008 წლის 8 აგვისტოს, ცხინვალის მისადგომებთან. ასევე ვახტან გზირიშვილის მამა, ბადრი გზირიშვილი გარდაიცვალა აფხაზეთში წარმოებული საომარი მოქმედებების დროს. მამა-შვილი დაკრძალულია ვახტანგ გზირიშვილის და მისი თანამებრძოლების სახელზე აგებული ეკლესიის ეზოში. ხსენებული ეკლესია მდებარეობს ნიკოლოზ ლანდიას ქუჩაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ

მიმდებარე ტერიტორია კვარტალური პრინციპითაა დანომრილი და ლანდიას ქუჩისთვის სახელის შეცვლა (მისი სხვა ადგილას გადატანა) არ გამოიწვევს არსებული მისამართების ცვლილებას.

კომისიაზე გამოითქვა მოსაზრება აღნიშნული საკითხი დაკორექტირდეს და ქუჩას მიენიჭოს ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების სახელი.

ნიკოლოზ ლანდიას ქუჩის სახელდებისთვის შეირჩა სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა.

სხდომას ესწრებოდა ვახტანგ გზირიშვილის დედა მარინა გზირიშვილი. მან მადლობა გადაუხადა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მისი ოჯახების წევრების გმირობისა და თავდადების დაფასებისთვის და მათი სახელების უკვდასაყოფად გაწეული შრომისთვის.

კომისიის წევრებმა დადებითად გადაწყვიტეს აღნიშნული საკითხები.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ნიკოლოზ ლანდიას ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საომარ მოქმედებებში დაღუპული მებრძოლების ვახტანგ და ბადრი გზირიშვილების სახელი, ხოლო სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ქიმიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი